ოქმი:**ო37. 3726050001**

თარიღი:**19/02/2026**

ოქმი N 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2026 წელი, 16 თებერვალი

ქ. ოზურგეთი

16:00 -17:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით კიკვაძე **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ესწრებოდნენ; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ. ხურციძე, გ. ჩავლეშვილი, ქ. ხომერიკი, მ. ჩხიკვიშვილი, ბ. თოიძე, პ. კიღურაძე, ტ. ბარამიძე, ე. გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 9 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით კიკვაძე

თანამომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილებისა და კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით კიკვაძე

3 ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 16 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის

თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით კიკვაძე

4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით კიკვაძე

გადაწყვიტეს:

1. სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული N1 საკითხი განხილვისა და დამტკიცების მიზნით შეტანილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. N2 საკითხი განსახილველად და დაეწეროთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივ კომისიებს (მ. ჩხიკვიშვილი, ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი), მათ შორის მ. ჩხიკვიშვილს განხილვისა და დასკვნის წარმოდგენის მიზნით

3. N 3,4 საკითხები განსახილველად და დაეწეროთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივ კომისიებს (მ. ჩხიკვიშვილი, გ. ჩავლეშვილი), მათ შორის მ. ჩხიკვიშვილს განხილვისა და დასკვნის წარმოდგენის მიზნით

დავით კიკვაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი